ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4797523

ნომერი: AR1723676

თარიღი : 12.12.2019

გაცემის თარიღი : 19.12.2019

გაცნობის თარიღი : 20.12.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , პეტრე ქავთარაძის ქუჩა N60;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბი წიკლაური პ/ნ 01020005520
- თბილისი მ.ფილიას ქ. N 5

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ,,ნიუ გრუპ ქავთარაძე"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204871567
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლაშა ბაგრატიონი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01009016356

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2284.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 3158.38
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 10931.27

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 8785.81
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2145.46
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 14.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 10.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.6

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. მოთხოვნის შინაარსი. -> .მოთხოვნის ტექსტი.:
ვინაიდან მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით წარმოადგინეთ იპოთეკარის წესდებით განსაზღვრული წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს მისი ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).ასევე ამონაწერში ფიქსირდება შპს „იბერია 2012“-ის იჯარა , მის სარგებლობაშია #1;5 და 6 შენობებში ფართები თუ აღნიშნულ შენობებსაც უკეთებს დემონტაჟს უნდა წარმოადგინოს მისი წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა, სათანადო წესით დამოწმებული (სანოტარო, ორგანიზაციის ბეჭდით ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი).

02. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი.:
... სადემონტაჟო სამუშაოების გრაფიკში მიუთითეთ სადემონტაჟო შენობების ნუმერაცია საკადასტრო გეგმის მიხედვით.
... დოკუმენტაციას დამატებით დაურთეთ საკადასტრო გეგმა და მონიშნეთ სადემონტაჟო შენობები.
... დოკუმენტაციის ნაწილი დამუშავებულია ლათინური ასონიშნებით, გთხოვთ აღნიშნული შეასწოროთ და წარმოადგინოთ ქართულად დამუშავებული.

03. შესაბამის ველში ატვირთეთ კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობების (მომიჯნავე საკადასტრო ერთეულ(ებ)ის და მისამართის დაფიქსირებით) არსებულ ტექნიკურ მდგომარეობასა და საპროექტო შენობის მშენებლობის პროცესში მათზე ზეგავლენის შესახებ, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული და შეავსეთ ექსპერტის მონაცემები;
იმ შემთხვევაში, თუ დასკვნაში მოთხოვნილი იქნება რაიმე სახის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება მშენებლობის პროცესში, დამატებით წარმოდგენილ იქნას გამაგრების პროექტი და კალენდარულ გრაფიკში ეტაპის სახით ასახული გამაგრებითი სამუშაოები;
გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ გამაგრება შეეხება მომიჯნავე შენობებს საჭიროა, დამატებით ატვირთულ იქნას მათი მესაკუთრეების შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე.
04. ვინაიდან დროებითი ღობე სცდება საკადასტრო საზღვრებს საჭიროა შესაბამისი მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის წარმოდგენა.
05. გენგეგმაზე სადემონტაჟო შენობების კონფიგურაცია არ ემთხვევა რეალობას და ასევე ცდება საზღვრებს. განმარტეთ აღნიშნულის შესახებ.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.